2020 წლის 04 დეკემბერს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული იქნა კომპლექსური სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური და სამედიცინო ექსპერტიზა. ხსენებული დასკვნის როგორც დასკვნითი ასევე კვლევითი ნაწილი შეიცავს თამარ ბაჩალიაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებს, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით ქვეყნდება მხოლოდ დასკვნის ნაწილი.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

5007135820

№ 5007135820

04/12/2020 წ.

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო
სამმართველოს უფროს გამომძიებელს,
ბატონ ირაკლი ბრეგვაძეს

ბატონო ირაკლი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი № 13/01-57129 მომართვის (ბიუროს 2020 წლის 02 ოქტომბრის რეგისტრაციის № 1006580120) და № 13/01-64238 მომართვის (ბიუროს 2020 წლის 12 ნოემბრის რეგისტრაციის № 1007524620) საფუძველზე, გიგზავნით კომპლექსური სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური და სამედიცინო ექსპერტიზის № 007287820 დასკვნას, აწგარდაცვლილი თამარ ბაჩალიაშვილის მიმართ და სისხლის სამართლის № 036190720002 საქმის ელექტრონულ ვერსიას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 29 ფურცლად;
სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული ვერსია – 1 (ერთი) ცალი DVD-R დისკი;

პატივისცემით,

ვახტანგ კარგარეთელი
ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

5007135820

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ, ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი

თარიღი 04.12.20

(ხელმოწერა) ბ.ა

NATIONAL FORENSICS BUREAU

007287820

ექსპერტის დასკვნა № 007287820

## გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: კომპლექსური სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური და სამედიცინო ექსპერტიზა; სამედიცინო ექსპერტიზა

**დამნიშნავი:**

სტრუქტურა: თბილისის პროკურატურა

ქვესტრუქტურა: საგამოძიებო სამმართველო

თანამდებობა: უფროსი გამომძიებელი

სახელი და გვარი: ირაკლი ბრეგვაძე

საფუძველი: თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებლის ირაკლი ბრეგვაძის 2020 წლის 02 ოქტომბრის დადგენილება (დოკუმენტის № GG0000615942HH; ბიუროს 2020 წლის 02 ოქტომბრის რეგისტრაციის № 1006580120) და 2020 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება (დოკუმენტის № NR000072924CT; ბიუროს 2020 წლის 12 ნოემბრის რეგისტრაციის № 1007524620).

სისხლის სამართლის საქმის ნომერი: 036190720002

**შემსრულებელი ექსპერტები:**

აკაკი ტყემალაძე / ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სპეციალობით მუშაობის 14 წლის სტაჟით.

მარინა მათიაშვილი / ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ფსიქოლოგი, სპეციალობით მუშაობის 15 წლის სტაჟით.

გიორგი ალავიძე / სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ცოცხალ პირთა.და გვამების გამოკვლევათა სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 18 წლის სტაჟით.სახელმწიფო სერთიფიკატი №030834

ეკა ჩავლეიშვილი / სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ცოცხალ პირთა და გვამების გამოკვლევათა სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 27 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

2020 წლის 02 ოქტომბრის დადგენილებიდან:

1. როგორი იყო თამარ ბაჩალიაშვილის ფსიქოლოგიური თავისებურება, შეადგინეთ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი და აღნიშნულის შესაბამისად განსაზღვრეთ დასაშვებია თუ არა მის მიერ სუიციდის ჩადენის ფაქტი.

2020 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებიდან:

1. ჰქონდა თუ არა თამარ ბაჩალიაშვილს სომატური ჯანმრთელობის მხრივ რაიმე პრობლემა, დადებით შემთხვევაში დაასაბუთოთ, რაში გამოიხატებოდა იგი?
2. ჰქონდა თუ არა თამარ ბაჩალიაშვილს რაიმე სახის ფსიქიკური პრობლემა, დადებით შემთხვევაში დაასაბუთოთ, რაში გამოიხატებოდა იგი?
3. ჰქონდა თუ არა თამარ ბაჩალიაშვილს სოციალური ადაპტაციის პრობლემები, დადებით შემთხვევაში დაასაბუთოთ, რაში გამოიხატებოდა იგი?
4. როგორი იყო თამარ ბაჩალიაშვილის ფსიქოლოგიური თავისებურება, შეადგინოთ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი და

007287820

**ექსპერტის დასკვნა № 007287820**

აღნიშნულის შესაბამისად განსაზღვროთ დასაშვებია თუ არა მის მიერ სუიციდის ჩადენის ფაქტი?

შემოსვლის თარიღი: 02/10/2020 წ

გასვლის თარიღი: 04/12/2020 წ

**დასკვნა**

არსებული დოკუმენტაციისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების საფუძველზე შეუძლებელია ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა აწგარდაცვლილ თამარ ბაჩალიაშვილს რაიმე ფსიქიკური დაავადება.

აკაკი ტყემალაძე

თამარ ბაჩალიაშვილის ფსიქოლოგიური თავისებურებანი მოცემულია ფსიქოლოგიური გამოკვლევის დასკვნაში. წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით სოციალური ადაპტაციის პრობლემები არ ვლინდება. ფსიქოლოგიური პორტრეტის გათვალისწინებით დასაშვებია მის მიერ სუიციდის ჩადენის ფაქტი.

მარინა მათიაშვილი

წარმოდგენილ სს საქმის მასალებში არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემებით:

თამარ ბაჩალიაშვილი მოთავსდა სტაციონარში 10.01.2012წ-ს [redacted] სადაც დაესვა დიაგნოზი: [redacted] რის გამოც 11.01.2012წ-ს დიაგნოზის დაზუსტების მიზნით გადაყვანილი იქნა [redacted]

თამარ ბაჩალიაშვილი მოთავსდა სტაციონარში 11.01.2012წ-ს [redacted], სადაც დაესვა დიაგნოზი: [redacted]

თამარ ბაჩალიაშვილმა 25.01.-22.05.2020წ (დროის პერიოდში) [redacted] დაესვა დიაგნოზები: [redacted];

სამედიცინო დოკუმენტაციაში მითითებული დიაგნოზების დასაბუთება წარმოადგენს სათანადო პროფილის ექიმი-სპეციალისტების კომპეტენციის ფარგლებს.

თამარ ბაჩალიაშვილის გვამის გამოკვლევის მონაცემებით (იხ. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა №004232820) „სომატური ჯანმრთელობის მდგომარეობის" დადგენა შეუძლებელია.

გიორგი ალავიძე

ეკა ჩავლეიშვილი

**გამოკვლევა**